# 31 მარტის რეფერენდუმში უნდა გამოიხატოს სრულიად საქართველოს უზენაესი სურვილი—თავისუფლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხვალვე საქართველოში ჩატარდება ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნები**

ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

30 მარტი, შაბათი, 1991 წ.
№ 58 (10471) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## შეეჯიბრეთ საქართველოს სიყვარულში!



იური ოსიპოვი

**ეს** ამბავი თითქმის ყველა „ძველს“ ახსოვს: მეფის არმიის პოლკოვნიკმა ანატოლი ფიოდოროვმა, რომელიც გენერალ ვაჩნაძესთან ერთად ვლადიკავკაზში მსახურობდა მაშინ, თავის უფროსს ქალი მოსტაცა, გენერალი სიმამრად გაიხადა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამან. იყო, რა თქმა უნდა, ხანჯლების ტრიალი, ქართული ლანძღვა-გინება, მოკლედ, ყველაფერი, მაგრამ, ბოლო კეთილი აღმოჩნდა: ქართველმა თავადმა თავის ჭრელსისხლიან რუს სიძეს თვითონ მიაკითხა, შვილს ალმაცერად ახედ-დახედა, ახალ სახლიკაცს ერთი კი დაუბღვირა, ბოლოს მამაშვილურად სილა სტკიცა — სიძე, შე ძველოო და...

ასე აღმოჩნდა საქართველოში ფარიკაობის ფუძემდებელი ანატოლი ფიოდოროვი ქართველთა სიძე, საქართველოზე გადაგებული კაცი, რომელმაც არაერთი სახელოვანი სპორტსმენი გაუზარდა ჩვენს ერს: ძმები გოგელიები, რევაზ ცირეკიძე, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, იზოლდა ესაიაშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი... რა თქმა უნდა, იური ოსიპოვი!

როდესაც ბატონ იურის ველოდებოდი, გულისგულობით მოვიძიე ჩემს არცთუ მდიდარ „რუსულ ლექსიკონში“ საჭირო სიტყვები, კითხვები, რათა შესაფერისად „გავმასპინძლებოდი“ სტუმარს, მაგრამ, თურმე, რას ირჯები! იური ოსიპოვმა პირველად მაშინ დამაბნია, როცა ჩემს ერთ-ერთ უკბილო ხუმრობაზე „ვეფხისტყაოსნიდან“ ზოგთათვის არცთუ ცნობილი და ადვილად დასამახსოვრებელი ციტატით მიპასუხა.

— ფეხი საქართველოში ავიდგი, თბილისში, ვერაზე. შემთხვევამ ჩამოიყვანა ჩემი ოჯახი აქ, — გვიამბობს ბატონი იური, — მამაჩემი 33 წლის იყო, როცა დახვრიტეს, მაშინ, იმ შავბნელ დროში, ხალხის მტრად გამოაცხადეს: შარი იოლად მოუდეს — სტალინგრადის რკინიგზის უფროსი იყო. დარჩა დედაჩემი სამი მცირეწლოვანი შვილის ანაბრად, მეოთხეზე ფეხმძიმედ იყო. მასაც სიკვდილით ემუქრებოდნენ, სასაფლაოზე იმალებოდა. ღმერთმა იცის, რას ჭამდა, რას სვამდა. ან ის, ან ჩემი ძმა. მე მაშინ 5-6 თვის ვიყავი. საწყალ დედაჩემს სასაფლაოზე მოუცილებია ნაყოფი. როგორ? — ღმერთმა იცის. იმას ვხვდები, რომ ეს ჩვენს გადასარჩენად გააკეთა. დედაჩემის და თბილისში ცხოვრობდა და ჩემი მშობლები იცნობდნენ საქართველოს, ნამყოფებიც იყვნენ. ბევრი უფიქრია დედას, ბოლოს გადაუწყვეტია: თუ მე და ჩემს შვილებს გადარჩენა გვიწერია, ისევ საქართველოში, ქართველების გარდა არავინ შეგვიფარებსო. იცით, ალბათ, რა დრო იყო. ძმა ძმას არ ინდობდა, მამა — შვილს. შური, გაუტანლობა, ღვარძლი მეფობდა. ალბათ, არც საქართველოს აკლდა მაშინ ეს „სიკეთე“, მაგრამ ეტყობა, ამ დალოცვილ ქართველებს მართლა ვერ ერევა მუმლი.

მოკლედ, ჩამოვედით თბილისში დეიდასთან. კეთილმა ხალხმა ხელი შეგვიწყო, დაგვაბინავა, დედას სამსახურიც უშოვეს. კი იცოდნენ მეზობლებმა ჩემი ოჯახის წარსული, მაგრამ დიდსულოვნებამ იმარჯვა — გადავრჩით. ის კი არა, ჩვენ ზემოთ, მაღლა სართულზე, შინსახკომის მაღალჩინოსანი მამაკაცი ცხოვრობდა. რომ იტყვიან, გაყიდულები ვიყავით, მაგრამ იმანაც დაგვინდო: მეტი რა გითხრათ, მადლიერების გრძნობა „მახრჩობს“...

**● ბატონო იური, თქვენი რუსული წარმომავლობა მოფარიკავეთა საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებს იმედს ხომ არ აძლევდათ, ქართველებთან დაპირისპირების „იარაღად“ რომ გამოეყენებინეთ.**

— იმედი, ალბათ, ჰქონდათ, მაგრამ, ამაოდ. იცით, რას გეტყვით, შემირცხვენია ის კაცი, რომელსაც ზემოთხრობილი წარსული აქვს და ულალატებს მშობელ ერს. დიახ, მშობელ ერს. ეს არ არის შემთხვევითი სიტყვები. მე ვამაყობ იმით, რომ ნაკრების მწვრთნელმა არკადიევმა ერთხელ განაწყენებულმაც მომმართა: შენ რანაირი რუსი ხარ, ნუგზარ ასათიანს არა აქვს ისეთი ცუდი აქცენტი ლაპარაკისა, როგორიც შენაო. ნუ იდარდებთ, სამაგიეროდ, თქვენ ლაპარაკობთ სუფთა რუსული აქცენტით-მეთქი. მოვახსენე. გაშრა კაცი...

**● ვიცი, რომ ასეთი ალტერნატივის წინაშეც იდექით: თუ რუსეთში წახვიდოდით, განაღდებული გქონდათ ფუფუნებით ცხოვრება, საქართველოში დარჩენა კი თქვენს ბრწყინვალედ დაწყებულ სპორტულ კარიერას ათასგვარ დაბრკოლებას უქადდა. მაინც საქართველოში დარჩენა არჩიეთ. როგორ გაუძელით ცდუნებას?**

— ნაკრების უფროსი მწვრთნელი ივან მანაენკო მართლაც ბევრს მპირდებოდა: წამოდი, ინსტიტუტში მოგაწყობ, მოსკოვის ცენტრში ბინას მოგცემ, მანქანას, და, რაც მთავარია, 15 წელი ნაკრებში ყოფნა გარანტირებული გექნებაო. უარი ვუთხარი. რამდენჯერმე სცადეს ჩემი გადაბირება, ბოლოს დამემუქრნენ — თუ არ წამოხვალ, ნაკრებში შენი ფეხი არ იქნებაო. ვერ დამითანხმეს. არ წავედი. არადა, ათასგვარ ხელოვნურ ბარიერს მიქმნიდნენ. ბევრჯერ თვითმფრი-

იხ. მე-4 გვ.

## ფრთხილად, მქვინვარებს ლატარიის ჭორი!

**აგორებულ ჭორს თუ განაწყენებულთა ეჭვები და ემოციები დაემატა, მტრისას, მერე მართლა ველარ მოთოკავ, მტყუანს და მართალს ველარ გაარჩევ. ასეთ დროს შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანები და ორგანიზაციებიც კი მოექცნენ ჭორის „აბობოქრებულ ტალღებში“.**

რას აღარ ამბობენ, ვის აღარ ადანაშაულებენ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ამას წინათ ჩატარებულ ლატარიასა და გათამაშებულ თუ გაუთამაშებლად დარჩენილ უცხოურ მანქანებთან დაკავშირებით. ისე, ნამდვილად საოცარია: ადრე ლამის იმ ავტორთა წერილების ნაკადმა წაგვლეკა, ვინც ამტკიცებდა, სირცხვილია, ხალხი მანქანის მოსაგებად დადის სტადიონზე და არა ფეხბურთის სანახავადო. ახლა, თითქოს პირი შეკრესო, ყველას ის ადარდებს, სწორად და დარღვევების გარეშე ტარდება თუ არა, ლატარიის გათამაშებაო. თურმე „ბოროტების სათავისთვისაც“ მიუგნიათ; რატომ არ მიმართავს ჩვენი სპორტის დეპარტამენტი გადამჭრელ ზომებსო, გვწერენ.

რედაქცია იძულებულია განმარტოს, რომ სტადიონზე საფეხბურთო ლატარიის გათამაშებასთან საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს არავითარი კავშირი არა აქვს. გუშინ გვაცნობეს, რომ ამჟამად მუშავდება დეპარტამენტის დებულება. მისი მიღების შემდეგ სპორტის დეპარტამენტი რესპუბლიკის სტადიონებზე ლატარიების გათამაშებასაც გაუწევს კონტროლს.

ჯერჯერობით კი... ჯერჯერობით ჭორი მქვინვარებს, ჭორი!

**ბარსელონა**

**სპორტის ქალაქი**

## ასეთი იყო, ასეთი იქნება!



**თანამედროვე** ოლიმპიური მოძრაობის მამამთავარი, ფრანგი ბარონი და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენი 1926 წლის 7 ნოემბერს ბარსელონის შესახებ წერდა: „პირველად ვნახე ნამდვილი სპორტული ქალაქი. ვნახე და დავრწმუნდი, რომ თუკი ვინმესთვის ძვირფასია ოლიმპიური იდეალები, ბარსელონას უნდა მიბაძოს“.

40 წლის შემდეგ დაახლოებით იგივე გაიმეორა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კიდევ ერთმა პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა: „მე აღმოვაჩინე სპორტული ენთუზიაზმის ახალი ასპექტი. ამაში დამეხმარა შესანიშნავი ქალაქი ბარსელონა, რომელიც შთამომავლობისათვის კეთილი მაგალითი უნდა გახდეს“.

დაბოლოს, კიდევ ერთი გამონათქვამი სოკ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩისა. თუმცა, როგორც ამბობენ, მის აზრს არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვინაიდან პრეზიდენტი წარმოშობით კატალონიელია, ბარსელონაში დაიბადა და აღიზარდა. მაგრამ ამ შემთხვევაში სამარანჩი მართალია, როცა ამბობს, რომ „იგი (ე.ი. ბარსელონა) ყველაფერს იღონებს, რათა ოლიმპიური თამაშები სამაგალითოდ ჩატარდეს. მას საამისოდ შნოც ეყოფა და გამოცდილებაც“.

მაინც რით არის გამორჩეული ბარსელონა, რატომ ხიბლავს ასე სპორტის ყველა მოღვაწეს?

ქალაქში 1300 სპორტული მოედანია, 250 პირველხარისხოვანი კომპლექსი, ბარსელონაში 1200-მდე სპორტული კლუბია. მათ შორის ყველაზე ძველია ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი (შეიქმნა 1897 წელს ჯოან გიმპერის თავკაცობით). ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა არა მადრიდში, არამედ კატალონიის დედაქალაქში. 1924 წელს. ბარსელონაში სხვადასხვა დროს ჩატარებულია ბევრი საერთაშორისო შეხვედრა, ტურნირი, ჩემპიონატი. საკმარისია გავიხსენოთ, ფეხბურთელთა, ველოსიპედისტთა, კალათბურთელთა, მოჭიდავეთა მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატები.

ბარსელონას XXV თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა (კოობ-92) დაამტკიცა ოლიმპიური ატრიბუტიკა — „ლოგო“ და „მასკოტი“.

„ლოგო“ — წითელ, ყვითელ, ლურჯ და თეთრ ფონზე გამოსახული სიმბოლოებია, გამოირჩევა დინამიზმით და ასახავს ხმელთაშუაზღვისპირეთის ხასიათს. დიზაინის ავტორია ხოსე მარია დიასი, წარმოშობით ბარსელონელი (დაიბადა 1948 წ.), მსოფლიოში ცნობილია პლაკატებითა და სარეკლამო პროსპექტებით.

„მასკოტი“ — კეთილი და მოყვარული ფინიას მოდერნისტული გამოსახულება გახლავთ. ავტორი — ხავიერ მარისკალი ვალენსიიდან. უმთავრესად ავეჯისა და ინტერიერის დიზაინზე მუშაობს. მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენაში.

ამერიკელი დიზაინერი ედ ბენგუაიტი ადგილობრივ პროფესიონალთაგან შემდგარ ჯგუფს ხელმძღვანელობს და მუშაობს აფიშების ესკიზებზე, მათ ტექსტებზე. მათი დახმარებით იქმნება აგრეთვე სპორტის ცალკეულ სახეობათა სიმბოლიკა, სპორტული ფორმის მოდელები (მომსახურე პერსონალისათვის). როგორც კოობ-92-ის პრესსამსახური იუწყება, უკვე დამზადებულია და საორგანიზაციო კომიტეტის სეიფებში ინახება ოლიმპიური მედლები, დიპლომები, ფულის ერთეულები...

**იბეჭდება თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური მასალების მიხედვით.**

**პასუხი „ლელოს“**

ქმედითობა

## „ეს უკვე მეტისმეტია!“

**თქვენი გაზეთის 22 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ეს უკვე მეტისმეტია!“. საპასუხოდ ავიამუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ ივანე ბურდულის მოთხოვნით, 25 მარტს გვეწვია საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის სოცდაზღვევის განყოფილების ინსპექტორ-რევიზორი ბატონი უშანგი ფხაკაძე. გაცნობებთ, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „ავიატორის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, დებულების თანახმად, მხოლოდ სარევიზიო კომისიის კომპეტენციაში შედის. ამიტომ ინსპექტორს საფინანსო-სამეურნეო რევიზიის ნება არ დავრთეთ. სამაგიეროდ, ვთხოვეთ შეემოწმებინა ის დოკუმენტაცია, რომლითაც ვალი ედება დარგობრივ პროფკავშირს. აღსანიშნავია, რომ ბატონი ივანე ბურდული დღემდე თავს იკავებს უკვე დამთავრებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის ვალის გადახდაზე.**

**ნიკოლოზ სომხიშვილი,**
**ფსკ „ავიატორის“ თავმჯდომარე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვალიდები და სპორტი

# ერთად ვიყოთ და შევეწიოთ ერთმანეთს

**საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია 3 და 4 აპრილს თბილისის სახელმწიფო ცირკში აწყობს რესპუბლიკის ღია ჩემპიონატს მკლავჭიდში (ინვალიდთა შორის).**

**შეჯიბრების სპონსორებია საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო, „იბერთბანკი“, თბილისის სახ. ელმწიფო ცირკი.**

**შეჯიბრების მსვლელობისას მოეწყობა აუქციონი, სადაც გაიყიდება იმპორტული ავეჯის გარნიტური, ფერადი ტელევიზორები, მაცივრები და სხვა დეფიციტური საქონელი. შეჯიბრება დაიწყება 10 საათზე. ბილეთები ცირკის სალაროებში გა იყიდება.**

ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობები, ვიტყვით ხოლმე ხშირად და მაინც სრულად ვერ წარმოვიდგენთ იმ შესაძლებლობებს, რაც შეიძლება გააჩნდეს ყოველ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი კაცს, რომელსაც გადატანილი აქვს დიდი ფიზიკური ტრავმა, ზის სახლში, დამხმარის გარეშე ვერ მოძრაობს და ინვალიდის უფერული, ერთგვაროვანი ცხოვრებით ცხოვრობს. სწორედ ასეთი ინვალიდები დააკავშირა ერთმანეთთან და გააერთიანა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულმა ფედერაციამ, რომელმაც მათი დაფარული, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური რეზერვების გამოვლენა განიზრახა. გასულ წელს ჩატარდა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში.

დიდი იყო დაინტერესება და მოულოდნელი იყო შედეგებიც, რომელიც მოჰყვა ღია ჩემპიონატს. შეიძლება სასწაული ეწოდოს იმ შედეგებსაც, რაზედაც ადრე ვერც ერთი ინვალიდი ვერ იოცნებებდა. გასულ წელს საქართველოს ღია ჩემპიონატს მოჰყვა პირველი საერთაშორისო ტურნირი — „მოსკოვური დათვები“, სადაც საქართველოს წარგზავნილებმა მკლავჭიდში პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს, ხოლო ლევან ქამიაშვილმა, რომელიც ტურნირში თბილისის* სახელით გამოდიოდა, მსოფლიო მეორე პრიზიორის სახელი მოიპოვა და აი, წელს ტარდება საქართველოს ღია II ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობის მისაღებად ჩამოვლენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის ნაკრებები, მასპინძელთაგან ბრძოლაში ჩაებმება თბილისისა და საქართველოს 20 რაიონის გუნდი. ჩემპიონატის მზადებასთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანთან ალეკო მამალაძესთან.

**● რა პრობლემები იკვეთება ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით?**

— გაცილებით ადვილია ჩემპიონატის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, ვიდრე ყველა იმ პირობების დაცვა სტანდარტების მიხედვით, რაც თანაბარი ტრავმისა და ინვალიდობის ჯგუფის გათვალისწინებას გულისხმობს. დიდი პრობლემაა ინვალიდების სახლიდან გამოყვანაც. ქალაქში არ არის დაცული ელემენტარული პირობები, კეთილმოუწყობელია ქუჩები, კიბეები, მოუხერხებელია ტრანსპორტი. გარდა ამისა, არ გვაქვს ცენტრალიზებული ბაზა, სადაც ინვალიდებს ვარჯიშის ნორმალურ პირობებში ჩატარების საშუალება მიეცემათ. ბევრ მათგანს ჯერაც ვერ მოუშორებია უხერხულობის კომპლექსი, სირცხვილის გრძნობა, ეს ეხება შეჯიბრებებში მონაწილეებსაც. უფრო გლობალური პრობლემა კი ალბათ ის არის, რომ მთავრობის მხარდაჭერისა და სახსრების გამოყოფის გარეშე საქმის წინ წაწევას ვერ შევძლებთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სპონსორებს — საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ საბჭოს, თბილისის სახელმწიფო ცირკს, აქვე მინდა აღვნიშნო ვაჭრობის სამინისტროს თანადგომა, რომელმაც გამოგვიყო 60000 მანეთი, რითაც შევიძინეთ აუქციონზე გასაყიდი საქონელი. მხარი ავუბით მსოფლიო მოძრაობას ჩვენს სფეროში, რეზერვები აშკარად არის. სპორტული ასპარეზობისას ჩვენი ხარვეზები იმდენად არ შეიმჩნევა ფიზიკურ ნაკლში, რამდენადაც სპორტულ მომზადებასა და ტექნიკაში.

**● რა მიზანს ისახავს ჩემპიონატი?**

— საქართველოში მგონი არც ჩატარებულა ასეთი მასშტაბის ჩემპიონატი, ისეთ სახეობაში, რომელიც ასე ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა ინვალიდისათვის. არაერთხელ გვქონდა მიწვევა სხვადასხვა შეჯიბრებაზე უცხოეთშიც, მაგრამ რა თქმა უნდა, თანხის უქონლობა და საბუთების გაფორმების დრო არ გვაძლევდა ამის საშუალებას, ამასობაში შეჯიბრებაც მთავრდებოდა. ამ ჩემპიონატის შედეგებით ვაპირებთ დავაკომპლექტოთ საქართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „მოსკოვური დათვების“ II საერთაშორისო ტურნირში.

**● ეს, რაც შეეხება მკლავჭიდს, მაგრამ რა ღონისძიებები გაქვთ გათვალისწინებული სპორტის სხვა სახეობებში?**

— სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“ ერთად შევადგინეთ წლიური კალენდარი, რომელიც გარდა მკლავჭიდისა, მოიცავს სპორტის 7 სახეობას. საქართველოს ჩემპიონატებს ჩავატარებთ მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ნარდში...

ველოდებით მოწვევას რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

დასასრულს, დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისელი მაყურებელი აუცილებლად დაესწრება საქართველოს II ღია ჩემპიონატს, აუქციონთან ერთად ძალზე მიმზიდველ სანახაობას იხილავთ.

**ესაუბრა ქეთევან ბოხუა,**
**საინფორმაციო სააგენტოს „იფერინდას“ კორესპონდენტი.**

---

სამთო-სათხილამურო

სპორტი

## გაზაფხულის მზე და... თხილამურები

**გაზაფხულის** პირველი თვის ბოლო დღეები ბაკურიანში მუდამ მზიანი და წყნარია, თოვლიც უხვია, ქათქათა, თუმცა, ცოტა არ იყოს — ზომაზე რბილი...

ასე იყო ამჯერადაც, თავმომწონე კოხტაგორის მიდამოებში, რაც ერთდროულად ზამთარსაც გაგრძნობინებდა და მოახლოებული გაზაფხულის სურნელებასაც.

ოთხ დღეს მიმდინარეობდა აქ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრების მასპინძლობა „კოხტა-2“-ის ტრასებმა „იტვირთეს“, ვინაიდან ტრადიციული „ტატრაპრომა“ მწყობრიდან იყო გამოსული.

ასპარეზობის პირველი ორი დღე სუპერგიგანტს დაეთმო.

ქალთა შორის ჩემპიონები გახდნენ ბაკურიანის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები, ოსტატობის კანდიდატები: ლელა ოგანეზოვა (1 წუთი და 31, 32 წამი) და მეგი მაისურაძე (1.30.22). მათ შესაბამისად პირველ და მეორე დღეს გაიმარჯვეს.

ვაჟები სამ ასაკობრივ ჯგუფად ასპარეზობდნენ. პირველ დღეს უმცროს ასაკში უძლიერესი იყო ბაკურიანელი გიორგი ხვედელიძე (1.36,72), საშუალოში — თბილისელი ალექსანდრ თიბილოვი (1.33,25), უფროსში — თბილისელი ლევან აბრამიშვილი (1.28,03). მეორე დღეს გ. ხვედელიძემ (1.31,22) და ლ. აბრამიშვილმა (1.26,33) კვლავ მიაღწიეს წარმატებას. აი, საშუალო ასაკში კი, ყველას ბაკურიანელმა ნუგზარ კოზანაშვილმა აჯობა (1.31,33).

გიგანტური სლალომის ტრასაზე კვლავ ტოლი არ ჰყავდა ლ. ოგანეზოვას (2.54,60). ვაჟებში პირველობდნენ მესტიელი გოდერძი და[illegible] (2.58,86), ბაკურიანელი რონინ [illegible] (2.48,93) და ლ. აბრამიშ[illegible] (2.45,34).

ბოლო დღეს სამთომოთხილამურენი სპეციალურ სლალომში ასპარეზობდნენ. ლელა ოგანეზოვამ მესამედ გაიმარჯვა (1.33,88). ვაჟებში ასაკის მიხედვით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ბაკურიანელები: ჯემალ გვარამაძე (1.39,28), ზურაბ ჯიჩოევი (1.29,93) და მესტიელი მალხაზ უდესიანი (1.28,21).

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

---

## რუსეთი და არა რსფსრ

**კიევი.** X საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირი, რომ იტყვიან, საფინიშო სწორზე გავიდა. უკვე გამოვლინდნენ გადამწყვეტ ეტაპზე მოასპარეზე გუნდები. ესენი არიან „ა“ და „ბ“ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული უკრაინის, მოსკოვის, რუსეთისა და ყაზახეთის კოლექტივები.

მოულოდნელი ან გაუთვალისწინებელი უკრაინის დედაქალაქში თითქოს არაფერი მომხდარა, თუმცა... ჯერ ერთი, ყაზახეთის ახალგაზრდული კოლექტივის გასვლა ოთხეულში თავისთავად დიდი ამბავი იყო, მაგრამ კიევის სპორტის სასახლეში პირველად მისულ მაყურებელს უფრო მეტად, ალბათ, გააოცებდა ის, რომ სადემონსტრაციო დაფებზე რუსეთის ფედერაციის ან შემოკლებით რსფსრ-ის ნაცვლად ყველგან ეწერა რუსეთი. ეს მომხდარა გუნდის ხელმძღვანელთა კატეგორიული მოთხოვნით, რასაც მასპინძლებმა, ცხადია, უსიტყვოდ დაუჭირეს მხარი.

...გადამწყვეტ მატჩებში კი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ: უკრაინის გუნდი, რომელსაც ჯერ არ დაუკარგავს არც ერთი ქულა და ყაზახეთის კოლექტივი (თავის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა). მეორე წყვილს შეადგენენ რუსეთისა და მოსკოვის ფრენბურთელები.

ჯგუფური ტურნირების ბოლო შეხვედრები კი ასე დამთავრდა: მოსკოვი — საქართველო 3:0, (15:9, 15:3, 15:5), უკრაინა — ლატვია — 3:0, რუსეთი — ყაზახეთი 3:1, ლენინგრადი — ბელორუსია 3:0.

---

ახალი წიგნი

## შტრიხები ნაცნობი პორტრეტისათვის

**„თხილამურებით ჰაერში“** (კობა წაქაძეზე), „დიდების მწვერვალზე“ (ნარკვევები ქეთევან ლოსაბერიძეზე, ვიქტორ სანეევზე, ნინა დრონოვაზე, მურთაზ ხურცილავაზე და სხვა), „ფეხბურთის რაინდი“ (სლავა მეტრეველზე) — სხვადასხვა წლებში გამოსული ეს წიგნები ეკუთვნის მრავალნაცად ჟურნალისტს, გაზეთ „თბილისის“ სპორტის მიმომხილველს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს შალვა ქირიას.

და აი, ამ დღეებში გულშემატკივართა თაროზე გაჩნდა ავტორის კიდევ ერთი საინტერესო წიგნი „ფეხბურთის სტრატეგი“. იგი თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთ შესანიშნავ თავდამსხმელ, ტყავის ბურთის ჭეშმარიტ ჯადოქარ ვლადიმერ ბარქაიაზე მოგვითხრობს.

„შტრიხები ნაცნობი პორტრეტისათვის“ — ვკითხულობთ ამ მხატვრულ ნარკვევში და მართლაც თითქოს თვალნათლივ გვიცოცხლდება საყვარელი ფეხბურთელის მონაწილეობით დიდი საფეხბურთო ბატალიების ნაცნობი სურათები: მოსკოვის დინამოელებთან მათ მოედანზე უკუდარტყმით გატანილი დიდებული გოლი, ტორპედოელთა წინააღმდეგ ლუჟნიკში გამართული თასის ფინალურ მატჩში ბარქაიას მიერ „ქართულ-ბრაზილიური“ საფეხბურთო კონცერტის ჩატარება, ბელგიის „ლაგანტუაზთან“ შეხვედრაში 5 მეტრის მონაწილეობით მართლაც რომ „საფეხბურთო პლაჟის“ (მწერალ ლევან ხაინდრავას გამოთქმით) მოწყობა, კონტინენტის სიმბოლური ნაკრების წევრის, კიეველი იური ვოინოვის, რბილად რომ ვთქვათ, „გაშარჟება“ დაძაბული თამაშის დროს...




ვფიქრობთ, რომ ამ ნაცნობ პორტრეტს (წიგნი 20.000 ტირაჟით გამოსცა გამომცემლობა „საქართველომ“), რომელსაც ავსებენ მიხაილ იაკუშინის, გავრილ კაჩალინის, ანდრო ჟორდანიას, ეროსი მანჯგალაძის, კოტე მახარაძისა და სხვათა საინტერესო მოგონებები (მათ ახლავს 35 ფოტოსურათი და შარჟი), სიამოვნებით გაეცნობიან ტყავის ბურთის მოყვარულები.

სულ ახლახან შ. ქირიამ დაამთავრა მუშაობა კიდევ ორ სპორტულ წიგნზე — „ვარდები მიხეილ მესხისათვის“ და „ჩაუმქრალი ვარსკვლავები“, რომელიც ქართული სპორტის სახელოვან წარმომადგენლებს ანდრო ჟორდანიას, როსტომ აბაშიძეს, გურამ კოსტავას, თინა ლეკვეიშვილს, ვლადიმერ მარღანიასა და სხვებს ეძღვნება.

**ოთარ ნოზაძე**

---

ელვა-ინფორმაცია

## აკაკი კაკაურიძე

### კვლავ ადის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



ეს ცნობა გაზეთის დაბეჭდვის წინ მივიღეთ. აშშ-ის ქალაქ სპოკანში გამართულ ამერიკელ და საბჭოთა მოკრივეთა ტრადიციულ მატჩში 75 კგ-მდე წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა ქუთაისელი მოკრივე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი აკაკი კაკაურიძე.

მატჩი ამერიკელებმა წააგეს — 5:7.

---

## რეპეტიცია ჩემპიონატის

**საქართველოს** მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატამდე ორიოდე თვე დარჩა, ასე რომ, ახლახან თბილისში გამართული რესპუბლიკის პირველობა ამ ასპარეზობის ერთგვარ რეპეტიციად მიიჩნეოდა.

უფროსი ასაკის (1978 წლამდე დაბადებულნი) ანუ სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზეთა შორის. პირველობა არავის დაუთმო მარინა პოზოვამ (ასკ, მწვრთნელი ეთერ ალექსიძე) — 53,15 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა თამილა ტლაშაძე — 51,0, მესამეზე — მაკა გაფრინდაშვილი — 50,95. ორივე სპორტსმენი „მართვეს“ წევრია. საშუალო ასაკში (1978-79 წლებში დაბადებულნი) უძლიერესი იყო კრისტინა ადამოვა — 53,0 (მწვრთნელი ბელა ხისაური). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მაია ცერცვაძე — 52,15 და ვალენტინა კოსტინა — 51,5 (სამივე — „მართვე“). უმცროსი ასაკის გოგოების (1980 წლის და შემდეგ დაბადებულნი) შეჯიბრება დამთავრდა ეკატერინე პევკინას („მართვე“) გამარჯვებით — 49,75 (მწვრთნელი ირინე გაბაშვილი). მისი თანაგუნდელი ნატო ფეიქრიშვილი მეორე იყო — 49,55, შორენა ბორაშვილი (ასკ) — 47,65 — მესამე.

**ყარამან რამინიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სულორი“ (ვანი) 2:2 (2:1).**

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 27 მარტი.

**„კოლხეთი-1913“:** მიქავა, კაკაჩია, ქაჯაია, გიორგაძე, გაგატაძე, შამათავა, თოფურია, გენძეხაძე, ტორჩინავა, თვარაძე, ქობალია.

**„სულორი“:** კიკალეიშვილი, კაწაძე (ზ. ბრეგვაძე), ვ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, გაგნიძე, ორმოცაძე, პაიკიძე, ბუიშვილი, ხურცილავა, ტ. ვერულაშვილი, გ. ბრეგვაძე.

მსაჯები: რ. ტალიაშვილი, ვ. ხეჩოიანი, ი. აბაიაძე, (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: რ. კანკაძე.

**თამაში** ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ მალე გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა: ისინი გამუდმებით უტევდნენ მეტოქის კარს. ქობალიამ, გიორგაძემ და თოფურიამ უამრავი თავსატეხი გაუჩინეს სტუმართა მცველებს. ვანელებმა თამაში ძირითადად კონტრშეტევებზე ააგეს და. გაუმართლათ კიდეც. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს ფოთელთა მცველები უხეშად შეცდნენ, რითაც კარგად ისარგებლა „სულორის“ თავდამსხმელმა ხურცილავამ და 21-ე წუთზე ანგარიშიც გახსნა. ორიოდ წუთში ფოთელმა ქობალიამ ოსტატურად მოატყუა სტუმართა მცველი და ძლიერი დარტყმით მეკარისაგან მარჯვენა მაღალ კუთხეში ულამაზესი ბურთი გაიტანა. ამ შეხვედრაში ქობალიამ მართლაც საუცხოოდ ითამაშა და დამსახურებულადაც აღიარეს საუკეთესოდ მასპინძელთა გუნდიდან.

სამიოდე წუთის შემდეგ თოფურიას მიერ კუთხიდან ჩამოწოდებული ბურთი ერთ-ერთმა ვანელმა მცველმა ჩაჭრა საკუთარ კარში. 57-ე წუთზე კი ფოთელი მცველები კვლავ შეცდნენ და ვანელმა ტ. ვერულაშვილმა გაათანაბრა ანგარიში.

საკუთარ მოედანზე ორი ქულის დაკარგვა ფოთელებს, ცხადია, ხელს არ აძლევდათ, ამიტომ ისინი გამუდმებით უტევდნენ „სულორის“ კარს, მაგრამ სტუმრები თავგამოდებით იცავდნენ საჯარიმოს მისადგომებს, თუმცა, მასპინძლებს მაინც შეეძლოთ დაწინაურება — მეკარესთან ორჯერ პირისპირ დარჩა გენძეხაძე, მაგრამ...

გელა გიორგაძე.

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0 (0:0).**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„ბათუმი“:** ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, შეყილაძე, კიკლიაშვილი, შანიძე, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, ნასუაშვილი, ტუღუში, კიურჯიევი.

**„ამირანი“:** მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, ლურწკაია, ურთმელიძე, პაპასკირი, გაბისონია (ქობალია), გეთია (გუჩუა).

მსაჯები: ს. კვარაცხელია, ვ. ეჯიბია, ზ. დარჩია (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: გ. მჭედლიშვილი, თ. შამუგია.

**დასაწყისშივე** უნდა აღვნიშნოთ: ოთხმოცდაათი წუთის მანძილზე მოედანზე საინტერესო თითქმის არაფერი მომხდარა, რადგან თამაში მეტად დუნედ მიმდინარეობდა. ბათუმელებმა ერთი პირობა სცადეს თავს მოეხვიათ ოჩამჩირელებისთვის თავიანთი ტაქტიკა, მაგრამ სტუმრებმა ტემპს უკლეს, საკუთარი კარის მისადგომები საიმედოდ ჩაკეტეს და ბათუმელთა ნახევარზე გადასვლა არც კი უფიქრიათ. მასპინძელთა თავდამსხმელები კი, „ამირანის“ დაცვის შეუპოვარ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, აღარც ცდილობდნენ მოწინააღმდეგის კარზე იერიშის მიტანას.

ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ ნასუაშვილი, რომელმაც 45-ე წუთზე მაინც მოახერხა მეტოქის მცველთა უკან ჩამოტოვება და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთმა მხოლოდ კარის ძელი „შეაზანზარა“.

მეორე ტაიმში სიტუაცია არ შეცვლილა. მხოლოდ კიურჯიევისა და ნასუაშვილის აქტიურობამ საქმეს ვერ უშველა. ბათუმელები ორი ქულის დაკარგვის აშკარა საფრთხის წინაშე დადგნენ. თამაშის ბოლო 15 წუთი შედარებით აქტიურად წარიმართა. ამან, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო: 90-ე წუთზე კარგად ითამაშა ტუღუშმა, ზუსტად ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე და კიურჯიევმა თავით ლამაზ ნახტომში გამარჯვების გოლი გაიტანა.

გვინდა გაუწყოთ ისიც, რომ სტადიონზე მოსულ მცირერიცხოვან გულშემატკივარს ადგილობრივმა ინფორმატორმა აცნობა, რომ სპორტულ-ტურისტულმა კოოპერატივმა „მეგობრობა 89“-მ (თავმჯდომარე ლ. ვერულიძე), როგორც სპონსორმა, გუნდს 80 ათასი მანეთი გადაურიცხა, ხოლო 100 ათასი მანეთი გაიღო მოედნის ბადით შემორაგვისათვის. ასევე 100 ათასი მანეთი გადაურიცხა გუნდს კოოპერატივმა „ინტერ-სერვისმა“ (თავმჯდომარე ჯ. გორდელაძე). შინ მოპოვებული სამი ქულით ბათუმელმა ფეხბურთელებმა თავისებური მადლობა გადაუხადეს თავიანთ სპონსორებს.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

**„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:1 (1:0).**

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„მერცხალი“:** ზოიძე, ცერცვაძე, მუავანაძე, ხამაშურიძე, კალატოზიშვილი, ჩხაიძე, კაშია (ტუღუში), ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე, ამაშუკელი.

**„სამგურალი“:** მიქაძე, მუშკუდიანი, გოგელიძე, პელიძე, ვ. ფესტვენიძე, რ. იობიძე, ჩიხლაძე (ჯანელიძე), იონანიძე (სიჭინავა), ჭყონია, ბაბუნიძე, ჭ. იობიძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა (თბილისი), მ. ფოლადაშვილი (რუსთავი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

**ოზურგეთის** „მერცხალმა“ მეორე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო. ამიტომ ამ შეხვედრას მასპინძლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სტადიონზე მოსული მაყურებელი მართლაც საინტერესო მატჩის მოწმე გახდა. 23-ე წუთზე ოზურგეთელებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს, ჩიგოგიძის დარტყმული ბურთი მეკარე მიქაძემ მოიგერია, მაგრამ მას მიუსწრო ჩიხლაძემ და თავით გაგზავნა ბურთი კარში —1:0. მეორმოცე წუთზე ოზურგეთელებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა — ჩიგოგიძემ და მაჭუტაძემ კარგი კომბინაცია გაითამაშეს, ამ უკანასკნელმა სტუმართა მეკარეც მოატყუა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა და მცირე მანძილით ასცდა კარს.

შეხვედრის მეორე ნახევარში წყალტუბოელები გააქტიურდნენ, ზედიზედ ორჯერ კარგად ითამაშეს მეტოქის საჯარიმოში ჩიხლაძემ და იონანიძემ, მაგრამ უშედეგოდ. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა შეხვედრის ბოლო წუთები, 85-ე წუთზე ამაშუკელმა ანგარიში ორამდე გაზარდა. წყალტუბოელებმა დარჩენილ დროში რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს მეტოქის კარს და 87-ე წუთზე ჭყონიამ შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა, ხოლო მატჩის მიწურულს სტუმართა მიერ დარტყმულ ბურთს ოზურგეთელმა მცველმა ზედ კარის ხაზთან მიუსწრო.

ნუგზარ ასათიანი.
„ლელოს“ კორ.

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური) 4:0 (2:0)**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„ოდიში“:** გელენავა, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, შონია (ტიბუა), მალანია, შეროზია, კვარაცხელია (გოგოხია), ყიზილაშვილი, თევზაძე.

**„ივერია“:** ბრიაუნისი, კისელიოვი, ცხოვრებაშვილი (ავალიანი), მაღრაძე, ჭანგურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, კვანტალიანი, მღვდელაძე, ჭინჭარაული (მჭედლიშვილი), ნოზაძე.

მსაჯები: ო. გუნთაძე (თბილისი), გ. მიქაუტაძე, ლ. დოგრაშვილი (ორივე — ქუთაისი).

**წინა** ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ზუგდიდელები, ბუნებრივია, „რეპუტაციის აღსადგენად“ იბრძოლებდნენ. მათ თამაშის პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა, უკვე მე-4 წუთზე მალანიას მიერ მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო ყიზილაშვილმა და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მასპინძლები მიღწეულს არ დასჯერდნენ და უფრო გამძაფრებით შეუტიეს. განსაკუთრებით კარგად იყენებდნენ ზუგდიდელები ფლანგებს.

ამ შეხვედრაში „ოდიშის“ ლიდერობა ყიზილაშვილმა იკისრა. ხანგრძლივი შტურმის შემდეგ, 23-ე წუთზე, შეროზიამ, ასევე თავური დარტყმით, მეორე ბურთი გაიტანა.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა, ზუგდიდელებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს, თავის გამოჩენა შეეძლოთ ყიზილაშვილს, კვიტატიანს, ტიბუას, მალანიას, მაგრამ ყველაზე „იღბლიანი“ ამ დღეს აღმოჩნდა შეროზია, რომელმაც „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა. 53-ე წუთზე თევზაძე-შეროზიას მიერ მარცხენა ფრთიდან წამოწყებულ კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა. 83-ე წუთზე შეროზიამ მეოთხედ შეარხია მეკარე ბრიაუნისის კარის ბადე.

„ივერიის“ ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ მასპინძლებისთვის, თუმცა მონდომებით კი თამაშობდნენ, მაგრამ ეს აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი და, რომ არა მეკარე ბრიაუნისის კარგი თამაში, ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა.

რომან ბაბისოვ
„ლელოს“ კორ.

**„გორდა“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი) 2:2 (2:1).**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 27 მარტი.



„გორდა“ — „იბერია“

რაჟდენ გაბრიჭიძის ფოტო.

**„გორდა“:** ქორიძე ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

**„იბერია“:** ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა, ჯამარაული (გოგიჩაიშვილი), ნემსაძე (ყაველაშვილი).

მსაჯები: ა. ძილჩენკო (სოხუმი), რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (ორივე — გაგრა).

მესამე ტურის ერთ-ერთმა ცენტრალურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია რუსთავში. მაყურებელი არ შემცდარა: თამაში საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა. პირველსავე წუთებზე მეტოქეებმა თითოჯერ მოახერხეს საჯარიმო მოედანში შესვლა, მე-5 წუთზე ავაქიანის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ თბილისელს და „იბერიის“ კარში აღმოჩნდა. შეხვედრის მე-20 წუთზე „გორდას“ საჯარიმოში შექმნილი რთული სიტუაციით კარგად ისარგებლა ინალიშვილმა და გაათანაბრა ანგარიში—1:1. პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, როცა ქასრაშვილის გადაცემის შემდეგ ფანცულაიამ ეფექტური დარტყმით გაგზავნა ბურთი „იბერიის“ კარში — 2:1.

შესვენების მერე საგოლე მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ ხან მცველები თამაშობდნენ ზუსტად, ხანაც ბურთი ცდებოდა მიზანს, თუმცა მეტ აქტიურობას თბილისელები იჩენდნენ.

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე რუსთაველმა მცველებმა ოდნავ მოადუნეს ყურადღება. მასპინძელთა ეს შეცდომა კარგად გამოიყენა ინალიშვილმა, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

რაჟდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს“ კორ.

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2:1 (1:0).**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„ცხუმი“:** ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, (ჯეჯელავა), პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.

**„შევარდენი-1906“:** გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი (ტარტარაშვილი), მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. შილაკაძე (ორივე — თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

გააფრთხილეს გ. მენთეშაშვილი.

**შეხვედრა** სოხუმელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მეათე წუთზე მალანიამ ოცდაათი მეტრის მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

სტუმრებმაც განახორციელეს რამდენიმე კონტრიერიში. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ბაკურაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი სოხუმელთა კარის ძელს მოხვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ცაავას სახიფათო დარტყმა მოიგერია „შევარდენი-1906“-ის მეკარემ.

59-ე წუთზე სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა — თბილისელთა მცველებმა მალანია მოცელეს. თერთმეტმეტრიანი თვით „დაზარალებულმა“ დაარტყა — 2:0.

საკუთარ კარში მიღებული მეორე ბურთის შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და სახიფათოდ შეუტიეს მასპინძელთა კარს. 61-ე წუთზე მინაშვილმა ახლო მანძილიდან ლამაზი გოლი გაიტანა. შეხვედრის მიწურულს მალანიას დარტყმული ბურთი სტუმართა მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელეს თბილისელი ვ. გვენცაძე და სოხუმელი ს. მალანია.

თენგიზ ჰაჭკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.

**„დილა (გორი) — „მზიური“ (გალი) 2:0 (1:0)**

გორი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„დილა“:** ჭანტურია, კონდრატიევი, გაგნიძე, ანიაშვილი, წიკლაური, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, პაპავა (მიქელაძე), მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

**„მზიური“:** მაკასარაშვილი, კვეკვესკირი, ფარჯალია, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, კაკუბავა (ეთერია), ჯღარკავა, მორგოშია (მეტრეველი), ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ვ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ზ. ლაცაბიძე, შ. ბერიძე (ორივე — თბილისი).

გათამაშება ორივე გუნდმა ერთობ არასახარბიელოდ დაიწყო: „დილამ“ შინ ერთი მატჩი წააგო 0:3 ხოლო „მზიურმა“ ერთი ქულა მოაგროვა ორ ტურში.

თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს და უკვე მე-2 წუთზე ხორგუაშვილის მიერ დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს. გორელთა შეტევებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო — ნეფარიძე, მარეხაშვილი, მარლიშვილი, რომ [illegible] საშუალებას [illegible] მეკარე მაკასარაშვილს. შესვენებამდე სამი წუთით ადრე [illegible] შვილის [illegible] ლეიბერის უხეშობით დამთავრდა. არბიტრმა 11-მეტრიანზე მიუთითა. ხორგუაშვილმა ხელიდან არ გაუშვა ეს შანსი — 1:0.

მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო გამოდგა — იერიშებმა ორმხრივი ხასიათი მიიღო, უპირატესობას მასპინძლები ინარჩუნებდნენ, 76-ე წუთზე შავდათუაშვილმა მეორედ აიღო მეტოქეთა კარი. თავის მხრივ გალელებსაც მიეცათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ გუნდის ვეტერანის ქანთარიას მიერ ახლო მანძილიდან დარტყმულ ბურთს აკრობატულ ნახტომში დაეუფლა გორელთა მეკარე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ იმ დღეს 18 წლის გრიგოლ ჭანტურიამ პირველად მოირგო „დილას“ გუნდის მაისური.

ორმხრივი იერიშების მიუხედავად ანგარიში არ შეცვლილა.

რამინ უურაშვილი.
„ლელოს“ სპეც. კორ.
გორი.

**„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:0 (1:0)**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„ქუთაისი“:** ხელაძე, სუხიაშვილი (წიქარიშვილი), წივწივაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, დვალიშვილი (ჭეიშვილი), შენგელია, ხუნდაძე, დარახველია, ფაიქიძე.

**„მარგვეთი“:** დევაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, ლონლაძე, ლაცაბიძე (ხუჯაძე), გაბრიჭიძე, ინიაშევი (წიკლაური), ავრამიდისი, ჯულელი, კერძევაძე, ფოცხვერაშვილი.

მსაჯები: მ. ჭელიძე, ლ. ჩიტაია (ორივე — თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გააფრთხილეს მ. ლაცაბიძე.

გოლი: მ. ხუნდაძე.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 0:0.**

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

**„კოლხეთი“:** ბერაძე, ბოსტანჯიანი, კაციტაძე, შურღაია, თევზაძე, მამფორია, ბაკურაძე, სპირინი (ხურცილავა), კალუგა (გვასალია), პიმუშინი, ჭიჭინაძე.

**„სანავარდო“:** გამყრელიძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლეკვეიშვილი, რუხაძე, ნოზაძე, ვ. ბრეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

მსაჯები: მ. მალალურაძე, გ. ხეჩუაშვილი (ორივე — თბილისი), თ. მაჩიტაძე (ქუთაისი).

გააფრთხილეს: კ. გამყრელიძე, გ. გეგეშიძე, ა. შურღაია.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0 (0:0)**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 27 მარტი.

**„გურია“:** ქანთარია, მიქაბერიძე, გუჯაბიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი (ქურიძე), მეგრელაძე, კორძაღიძე, ფრიდონაშვილი, ჩხაიძე.

**„ალაზანი“:** ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, წიქარიშვილი, ძნელაძე (შეხვატოვი), ხანდირაძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოღაშვილი, თეთრაული (ლობჟანიძე), კობახიძე.

მსაჯები: ნ. კილაძე, ს. შალამბერიძე, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ი. კობახიძე, დ. სოლოღაშვილი, ლ. ბარათაშვილი.

გოლი: ო. კორძაღიძე.

## სათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 30 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| „დილა“ (გორი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| „იბერია“ (თბილისი) | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| „სულორი“ (ვანი) | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| „მზიური“ (გალი) | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| „ივერია“ (ხაშური) | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

# I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „არაგვი“ (დუშეთი) — „ეგრისი“ (სენაკი) 4:0, „სიხარული-90“ (გაგრა) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „იმერეთი“ (ხონი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 0:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „საპოვნელა“, (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0, „სიონი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1.

# შეეჯიბრეთ საქართველოს სიყვარულში!

(დასასრული)

ნავის ტრაპიდან გამოვბრუნებულვარ უკან. რაღაცას მოიგონებდნენ: ან საბუთები არ მქონდა წესრიგში, ან — სხვა რამ.

● **ქართველები? ქართველები როგორ გიფასებდნენ ამაგს?**

— რომ მიფასებდნენ და მაფასებდნენ, ამიტომაც არ მივატოვე საქართველო. დედა მეუბნებოდა, შვილო, ქართველი ხალხისთვის, რა სიკეთეც უნდა გააკეთო, ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, მათ რომ ჩვენთვის გაუკეთებიათო. ეს შეგონება დღემდე მახსოვს, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვცდილობ. წყენა რა არის, უბრალო წყენა არ მახსოვს ქართველი კაცისგან, გუნდში ხომ ყველა ძმები ვიყავით. თქვენ წარმოიდგინეთ, შეკრებებზე, შეჯიბრებებზე ეშინოდათ კიდეც ჩვენი: ჯერ ერთი, რომ ბევრნი ვიყავით ნაკრებში, მეორეც, ერთმანეთის გატანა მართლა ვიცოდით. ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე, გურამ კოსტავა... სხვებიც სპორტშიც და ცხოვრებაშიც შეუდარებელნი იყვნენ..

● **და, რაც მთავარია, ფარიკაობაც იცოდით გვარიანი.**

— კი, ასე იყო. იმ დროს, დამიჯერეთ, საქართველოს გუნდს დამოუკიდებლად რომ ესპარეზა მსოფლიო ჩემპიონატებზე, საპრიზო სამეულში მოხვედრა დიდად არ გაუჭირდებოდა. ერთ კურიოზს გიამბობთ და მიხვდებით, რა უსაზღვრო პოტენციალი ჰქონდა ქართულ საფარიკაო სკოლას. 1953 წელს საკავშირო პირველობაზე გავემგზავრეთ. გუნდში ძირითადად თბილისელი და ზესტაფონელი სპორტსმენები ვიყავით, მაგრამ იმ დროს ზესტაფონს იმდენი კარგი მოფარიკავე ჰყავდა, რომ ვინც ნაკრებში ვერ მოხვდა, მათგან მეორე გუნდი „გააკეთეს“ და გაგზავნეს შეჯიბრებაზე. ამ წელს ჩვენ, საქართველოს ნაკრებმა, I ადგილი დავიკავეთ, შემდეგ — მოსკოვი, უკრაინა... ზესტაფონი, დიახ, 17 გუნდში ზესტაფონელები მეოთხენი იყვნენ, დაუჯერებელი ამბავია. წარმოიდგინეთ, მაშინ საქართველოს ნაკრები იშვიათად, მაგრამ მაინც, უნგრეთისა და პოლონეთის გუნდებსაც ამარცხებდა.

● **თქვენ 19 წლისა, უკვე მელბურნის ოლიმპიადაზე გაემგზავრეთ, ოთხჯერ მოიგეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ერთხელ — თასი, არაერთხელ საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირები. დიდი სპორტისკენ მიმავალი გზა კი არ არის ია-ვარდით მოფენილი...**

— ვერაზე ვსწავლობდი, ყოფილ პიონერთა სასახლეში ტანვარჯიშზე დავდიოდი. ვიდრე ტანვარჯიშის დარბაზში მოვხვდებოდით, ფარიკაობის დარბაზი უნდა გაგვევლო. ერთხელაც „დამიცდა ფეხი“ და იქ ამოვჩნდი. რეზო ცირეკიძის ვარჯიშს დავესწარი. მახსოვს, ფიოდოროვმა უთხრა, შენ დარტანიანსაც მოუგებო. მეც მინდოდა დარტანიანის დამარცხება. მოკლედ, მივებარე ამ ღვთისნიერ კაცს — ანატოლი ფიოდოროვს. იმდენი ქნა, სანამ მოფარიკავე არ გამომიყვანა. შემდეგ შოთა დარასელია მავარჯიშებდა.

კარგად მახსოვს, ვარჯიშის დაწყებიდან მეათე დღეს თბილისის ჩემპიონატში III ადგილი დავიკავე. მას შემდეგ რაპირას როგორ გავაგდებდი ხელიდან. ათასი ტანჯვა-წვალებაც გადავიტანე, მაგრამ არჩეული გზიდან არ გადამიხვევია.

● **ბატონო იური, თქვენს პარიზულ თავგადასავალსაც ხომ ვერ გაიხსენებდით.**

— ჩემი და რეზო ცირეკიძის თავგადასავალი? — სიამოვნებით. 1957 წელს პარიზში დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვდიოდით. ტურნირს უჩვეულო რეკლამა გაუკეთა საფრანგეთის პრესამ. ალბათ, იქაურ ჟურნალ-გაზეთებში ქართული გვარის — ცირეკიძის ხშირმა ხსენებამ დააინტერესა ქართველი ემიგრანტები, რომ შეჯიბრებაზე მოვიდნენ. დიახ, იმ დროს მათი დანახვაც კი წარმოუდგენელი რამ იყო ჩვენთვის. მაგრამ ერთ-ერთი შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჩვენთან მოვიდა ხმელი, წარმოსადეგი, შავგვრემანი მამაკაცი და ქართულად გვითხრა, — ბიჭებო, ქართველები ხართ, თქვენი ჭირიმეო! — ცრემლით აევსო თვალები. გამოვემცნაურეთ, სერგო წულაძე აღმოჩნდა; სახლში მიგვიპატიჟა მე და რეზო, მაგრამ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი პოპოვი და კიდევ ერთი, „უგვარსახელო“ „კაგებეშნიკი“ გაჯიუტდნენ: იმ შემთხვევაში გაგიშვებთ, თუ ჩვენც გვიახლებთ თან და რუსულად ელაპარაკებითო. ემიგრირებულ ქართველებთან შეხვედრის წყურვილი იმდენად უზომო იყო, რომ მე და რეზო დავთანხმდით „პირობის ერთ პუნქტზე“ — გამოგვყოლოდნენ... ოღონდ ქართულად უნდა გველაპარაკა, რამდენადაც, როგორც ვუთხარით, ემიგრანტებმა რუსული არ იცოდნენ. დაგვთანხმდნენ.

მეორე დღეს მოვიდა სერგი წულაძე სხვა ქართველებთან ერთად, მამამისის, პარიზში ცნობილი თერძის ოჯახში შევიკრიბეთ. ბატონმა სერგიმ თავიდან გაგვაფრთხილა, ბიჭებო, პოლიტიკაზე ნუ ვილაპარაკებთ, თორემ ბევრ უსიამოვნებას გადაეყრებითო. მოკლედ, გაიმართა ქართული ლხინი. მე და რეზო არ ვსვამდით, პოპოვი და სუკ-ის თანამშრომელი გამოთვრნენ. დავიშალეთ, გული მაინც ერთმანეთისკენ გვიწევდა, თუმცა გადაულახავი ბარიერი გვიშლიდა ხელს, ბოლომდე გაგვეზიარებინა სიყვარული.

● **ამ დროისთვის ასეთი შეხვედრები მეტად სახიფათო იყო, იმედია, არც თქვენ გადაურჩით ხიფათს.**

— ამ შეხვედრის შემდეგ რეზო ცირეკიძეს 3 წელი აღარ უშვებდნენ უცხოეთში, მე, ეტყობა, ბოლომდე არ გამწირეს: მაინც რუსული წარმომავლობისა ვიყავი. თუმცა ერთხანს, ვარჯიშებისას, დარბაზში ყოველდღე მაკითხავდა შავლაბადიანი და შავსათვალიანი კაცი, მეკითხებოდა, გაიხსენე, ვის შეხვდით პარიზში იმ საღამოსო. ვერ გავიხსენე!

● **თქვენი თაობის ადამიანებს უამრავი წვალება გადაუტანიათ, მაგრამ, მაინც, 9 მარტს განსაკუთრებული ადგილი უკავია მათ შორის — იმედის მსხვრევის, გაურკვევლობის პერიოდი იყო...**

— 9 მარტს უნივერსიტეტში გვქონდა ვარჯიში. ვარჯიშის დამთავრებისთანავე სანაპიროსკენ გავემართეთ — ოთარ კიკალეიშვილი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ჩვენი მოკრივე მეგობარი ირაკლი მელაძე და მე. მიტინგელებთან ახლოს მისვლა ვერ მოვასწარით, რომ სროლა ატყდა, მერე ყველაფერი აირია, მახსოვს, რამდენიმე საათის შემდეგ ქალებმა ვარჯიშიდან თანგამოყოლილი ... ლი რაპირები ... იარაღი არ ეგონოთ, შვილო. ... რიანი ... ით სახლებში.

აი, მეორე „ბართლომეს ღამეს“ კი, 9 აპრილს, ვერ შევესწარი. თითებს ვიკვნეთდი, ნეტა ფეხი მომტეხოდა და მომიტინგენი არ დამეტოვა-მეთქი. გურამ ჯაიანს თავისი პატარა ბავშვი ჰყავდა წამოყვანილი, მისი გულისთვის დავბრუნდით უკან. გურამი ვახსენე, მის გარდა იცით ვინ იყო კიდევ იქ? ოთარ კიკალეიშვილი, გივი ცაგარელი და ჩვენი მოკრივე მეგობარი — ირაკლი მელაძე. საოცარი დამთხვევაა.

დილით, 4 საათზე, დამირეკა გურამ ჯაიანმა: ბიჭო, ხალხს ესროლეს იმ შობელძაღლებმაო. 9 მარტი დამიდგა თვალწინ: წითლად შეღებილი მტკვარი, უპატრონო გვამები, ტყვიებით დაცხრილული კავშირგაბმულობის შენობის კედლები.

● **მოფარიკავეებში არსებობს ტრადიცია: შვილებს აუცილებლად სპორტის ამ სახეობაში ავარჯიშებენ. თქვენი ორივე შვილი — გუგა და კოკა (ი უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდში თამაშობენ, ფარიკაობას არც კი აზიარეთ.**

— ეს, ალბათ, წყლისადმი ჩემი თანდაყოლილი შიშით აიხსნება, მინდოდა, ბიჭებს მაინც სცოდნოდათ კარგი ცურვა და ამიტომ 4-5 წლისანი იყვნენ, ორივე წყალში რომ „გადავყარე“. წყალბურთი კი თავად აირჩიეს.

● **დაბოლოს, ბატონო იური...**

თუმცა, დროზე მოვეგე გონს, კითხვა აღარ დამისრულებია,. არადა, უნდა მეკითხა, კარსმომდგარ რეფერენდუმში თუ აძლევთ ხმას დამოუკიდებელ საქართველოს-მეთქი.

განა კითხვა უნდა ამას?!

**ლევან ჯავახიშვილი**

## სპორტული აპრილი

**1-7. კრივი.** საქართველოს ჩემპიონატი. **ქუთაისი.**

**3-7. ძიუდო.** საქართველოს პირველობა 1977-1978 წლებში დაბადებულთა შორის (ვაჟები). **ვანი.**

**4-7. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1973-1974 წლებში დაბადებულთა შორის. **კასპი.**

**5-7. საერთო-ფიზიკური მომზადება.** საქართველოს ჩემპიონატი. I ზონა. **ხობი.**

**6-7. მძლეოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა კროსში. **ბათუმი.**

**9-11. აკადემიური ნიჩბოსნობა.** საქართველოს პირველობა 1973-1975 წლებში დაბადებულთა შორის. **ფოთი.**

**9-13. ძალოსნობა და სიმძიმეების აწევა.** საქართველოს პირველობა (1969 და მომდევნო წლებში დაბადებულთა შორის) მიძღვნილი ა. ჯეჯელავას ხსოვნისადმი. **ხენაკი.**

**9-12. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი (აღმოსავლეთი ზონა). **თელავი.**

**10-14. ჭადრაკი.** საქართველოს თასი სწრაფ ჭადრაკში. **თბილისი.**

**10-17. წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. II ტური. **ბათუმი.**

**10-28. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი. ქალები. შესარჩევი ტურნირი. **გორი.**

**12-14. საერთო-ფიზიკური მომზადება.** საქართველოს ჩემპიონატი. II ზონა. **ტყიბული.**

**12-16. ათლეტიზმი** (ძალისმიერი სამჭიდი). საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**

**13-14. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

**15-19. საგზატკეცილო ველოსპორტი.** საქართველოს ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლებში. **თბილისი.**

**19-21. საერთო-ფიზიკური მომზადება.** საქართველოს ჩემპიონატი. III ზონა. **გურჯაანი.**

**19-25. მშვილდოსნობა.** საკავშირო თასის გათამაშება. **სოხუმი.**

**20-21. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი, ჭიათურა.**

**20-22. ჭადრაკი.** საქართველოს პირველობა საჭადრაკო კომპოზიციაში. **თბილისი.**

**22-27. თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს პირველობა. **თბილისი.**

**23-26. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი (დასავლეთის ზონა). **ტყიბული.**

**25-28. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **ყვარელი.**

**25-29. სამბო.** საქართველოს ჩემპიონატი. **ვანი.**

**25-29. ბადმინტონი.** საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პრიზზე. **თბილისი.**

**26-28. საერთო-ფიზიკური მომზადება.** საქართველოს ჩემპიონატი. I ზონა. **ბორჯომი.**

**26-28. აკადემიური ნიჩბოსნობა.** საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

**27-28. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. **ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი.**

## მატჩები გადატანილია



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ რეფერენდუმთან და საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებით, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის ნაცვლად 31 მარტისა, გაიმართება 3 აპრილს, ხოლო თბილისის „იბერიისა“ და ქუთაისის „ქუთაისის“ მატჩი 1 აპრილს ჩატარდება.

## ღირსეული სასჯელი

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის გადაწყვეტილებით, ერთი სეზონით დისკვალიფიცირებულია იტალიის „მილანი“, ხოლო ორი სეზონით — გერმანიის ქალაქ დრეზდენის „დინამო“.

ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „მილანი“ დაისაჯა იმის გამო, რომ მარსელში, ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩის 87-ე წუთზე მისმა მოთამაშეებმა თვითნებურად დატოვეს მინდორი. ფეხბურთის მოყვარულებმა ალბათ უკვე იციან, რომ მარსელის სტადიონზე თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, მწყობრიდან გამოვიდა განათების 4 სვეტიდან ერთ-ერთი. 20 წუთის შემდეგ იგი მოაწესრიგეს, მაგრამ „მილანის“ მწვრთნელმა ა. საკიმ აღარ გამოიყვანა გუნდი თამაშის დასამთავრებლად, იტალიელები მოითხოვდნენ მატჩის გადათამაშებას.

უეფა-მ „მარსელს“ გამარჯვება მიაკუთვნა ანგარიშით 3:0, მაგრამ კლუბი დააჯარიმა 25 ათასი შვეიცარიული ფრანკით (17 ათასი დოლარი) მატჩის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისთვის.

რაც შეეხება დრეზდენის „დინამოს“, იგი დაისაჯა თავისი გულშემატკივრების ხულიგნური საქციელისთვის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალურ მატჩში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“. მიმდინარეობდა თამაშის 78-ე წუთი, ანგარიში იყო 2:1 სტუმართა სასარგებლოდ და ამ დროს მაყურებლები შეუდგნენ მინდორზე ათასგვარი საგნის სროლას. სარბიელზე ცვიოდა ლითონის ნივთები, ბოთლები, ისროდნენ შუშხუნებს. არბიტრი ბ. კარლსონი (შვეცია) იძულებული გახდა, ეფიქრა ფეხბურთელებისა და მსაჯების უსაფრთხოებაზე, ამიტომაც დაუყოვნებლივ შეწყვიტა თამაში.

„ცრვენა ზვეზდასაც“ გამარჯვება მიენიჭა ანგარიშით 3:0, მაგრამ იუგოსლავიელებიც არ დარჩენილან დაუსჯელნი: მათ დაეკისრათ 15 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა გუნდის ქომაგების უწესო საქციელისთვის თამაშის დაწყების წინ.

„მილანისა“ და დრეზდენის „დინამოს“ დისკვალიფიკაციის ვადის დასაწყისად ჩაითვლება ის პერიოდი, როცა ეს გუნდები მოიპოვებენ ევროპის მომავალ საკლუბო ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

უეფა-მ დასჯილ გუნდებს უფლება მისცა, გაასაჩივრონ ეს დადგენილება, „მილანის“ პრეზიდენტმა ბერლუსკონიმაც არ დააყოვნა და განაცხადა, რომ ა დაუყოვნებლივ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას. „სასჯელი სცილდება უეფა-ს წესების საზღვრებს, იგი მეტისმეტად მკაცრია და ამავე დროს მოულოდნელიც, —თქვა მან. — ის, რაც მარსელში მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაა. ჩვენ მაშინვე ვაღიარეთ საკუთარი შეცდომა და პროტესტი არ გამოგვითქვამს არბიტრის გადაწყვეტილების გამო, როცა მან წაგება ჩაგვითვალა. ვფიქრობ, უეფა გაგვიგებს და შეცვლის თავის დადგენილებას...“

## ოთხგზის ლაურეატი

**კალათბურთის** მოყვარულს თითქოს არაფერს უნდა ეუბნებოდეს იტალიის ქალაქი კანტუ და იქაური კლუბი „კლეარი“. მაგრამ მთლად ასე არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ კანტუს გუნდი მეათედ იგებს ევროპის საკლუბო ტურნირებს და მეოთხედ ეუფლება მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საპატიო კორაჩის თასს.

იტალიელთა წლევანდელი მეტოქე (ლაპარაკია კორაჩის თასის გათამაშებაზე) მადრიდის „რეალი“ ტიტულებით არ ჩამოუვარდება „კლეარს“. „რეალიც“ ევროპის საკლუბო პრიზების ათგზის მფლობელია. სწორედ ამიტომ მეტოქეთა ორთაბრძოლა კორაჩის თასის წლევანდელ ფინალში გულშემატკივრებისა და სპორტული საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევდა.

პირველი შეხვედრა ათიოდე დღის წინ ესპანელებმა შინ წააგეს — 71:73. განმეორებითი მატჩიც, კანტუში, „კლეარმა“ მოიგო, მაგრამ ამჯერად უძლიერესის გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა (მატჩის საბოლოო შედეგია 95:93).

რამდენიმე სიტყვა თამაშის შესახებ. პირველ ტაიმში „რეალის“ უპირატესობა უდავო იყო. მეთვრამეტე წუთზე იგი 18 ქულას იგებდა (40:22). პირველი ტაიმი სტუმრებმა, ცხადია, თავის სასარგებლოდ დაამთავრეს (45:37), შესვენების შემდეგ კი ინიციატივას იტალიელები დაეუფლნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკელი პროფესიონალი პეის ბენიონი (გუნდს 35 ქულა შესძინა). მისი უშუალო მეურვე ესპანელი ხოსე ბირიუკოვი (ადრე იგი მოსკოვში ცხოვრობდა) ამ დღეს უჩვეულოდ სუსტად თამაშობდა. მან გუნდს მხოლოდ 7 ქულა შესძინა.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**თბილისის „შევარდენის“ სტადიონი**

(ბ. ხმელნიცკის ქ. 40)

**3 აპრილი ● ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
(უმაღლესი ჯგუფი)

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი)**

დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20